სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 ოქტომბერი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/128

„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის განხილვის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 5 სექტემბრის №06-01/98 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 **„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის განხილვის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 5 სექტემბრის №06-01/98 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**და 56-ე მუხლების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათების (MES 7 25 0000937448, 31.07.2025 და MES 4 25 0001189715, 20.09.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის განხილვის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის N06-01/98 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, N1 დანართის **(წესის):**

1.1. **მე-2 მუხლის** („აკადემიური პერსონალის აფილირების პირობები“) **მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. ბსუ-ს პროფესორისათვის (გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული პირებისა) სავალდებულოა ბსუ-სთან აფილირება. ბსუ-ს პროფესორის მიერ აფილირების პირობების დარღვევა მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია.“;

1.2. **მე-2 მუხლის** მე-6 პუნქტის შემდეგ **დაემატოს 6[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6[1]. ბსუ-ს მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების კლინიკური კომპონენტის განმახორციელებელი ბსუ-ს პროფესორისათვის, რომელიც ბსუ-ს კლინიკურ ბაზებზე/პრაქტიკის ობიექტებზე ეწევა საექიმო საქმიანობას და ასრულებს აკადემიურ (სამუშაო) დატვირთვას/უძღვება სასწავლო/კლინიკურ კომპონენტებს ბსუ-ს სტუდენტებისათვის, **დასაშვებია:**

ა) არ იყოს ბსუ-ს აფილირებული პროფესორი (ეკავოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა და იყოს აფილირებული);

ბ) ბსუ-სთან აფილირების შეთანხმების არსებობის მიუხედავად ეკავოს/დაიკავოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა (არააფილირებული სტატუსით).“.

2. წინამდებარე დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს, მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**